ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №325629

ნომერი: AR174911

თარიღი : 21.08.2012

გაცემის თარიღი : 12.09.2012

გაცნობის თარიღი : 08.10.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 34 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ანდრო დოლიძე პ/ნ 01009012013
- ქ.თბილი, ვაჟა-ფშაველას 51

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. "ნიუ ჰაუსი" კოდი: 404914287

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ფუნქციური ზონის ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ალ. ყაზბეგის გამზირის #34-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ფუნქციური ზონის სტატუსის – სატრანსპორტო ზონა 1–ის ცვლილებას, გაცნობებთ, რომ აღნიშნული საკითხი განხილული იქნა “ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის” 2012 წლის 24 აგვისტოს #33 სხდომაზე, რომლის დასკვნის საფუძველზეც ფუნქციური ზონის სტატუსის – სატრანსპორტო ზონა 1–ის საცხოვრებელი ზონა 6-ით ცვლილებას მიეცა თანხმობა სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით. დანართის სახით გიგზავნით ზემოთ აღნიშნული სხდომის ოქმიდან ამონარიდს. შესაბამისად, საკითხი შემდგომი განხილვისთვის წარდგენილი იქნება ქალაქ თბილისის საკრებულოს სხდომაზე, რომლის საბოლოო გადაწყვეტილების შესახებაც სამსახური გაცნობებთ დამატებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.